ხელშეკრულება #83

ქ. ზესტაფონი 21 ნოემბერი 2019 წელი

ერთის მხრივ, ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრის უფროსის მ/შ გიორგი ორბელაძის (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. #11 (შემდგომში-- შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შპს „ოპტიმალის“ დირექტორის გელა ღვინიაშვილის (მისამართი: ქ. ზესტაფონი, აღმაშენებლის ქ.#71) სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში--ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ააიპ ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრისათვის პრინტერის კარტრიჯის წამკითხველი მექანიზმის შეკეთების შესყიდვა. CPV კოდი: 50310000 (შემდგომში --საქონელი) ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 70 (სამოცდაათი) ლარს;

პრინტერის კარტრიჯის წამკითხველი მექანიზმის შეკეთება 70 ლარი; სულ-- 70 ლარი;

ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მათ შორის დღგ-ს.

50300000 კოდით ----- 70 ლარი;

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4.მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ააიპ ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრის უფროსის მ/შ მიერ 2017 წლის 20 ივნისის #196 ბრძანებით შექმნილი კომისია.

4.2 საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1 საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. ზესტაფონი, ფარნავაზის ქ#2;

5.2 საქონლის მიწოდება განხორციელდება 2019 წლის 25 ნოემბრამდე.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში;

7. პირსაგამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირსაგამტეხლო ყოველ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%--ის ოდენობით.

7.2 პირსაგამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2 ხელშეკრულების პირობების მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5 მეორე მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებთ შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8.7 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 30 დეკემბრამდე.

შემსყიდველი:

ააიპ ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრის

უფროსის მ/შ:

გიორგი ორბელაძე

_____

სახელმწიფო ხაზინა

ს/კოდი;: 430024555

მის: ქ. ზესტაფონი ფარნავაზის q. #2

ტელ:595-03-01-41

მიმწოდებელი:

შპს „ოპტიმალის“ დირექტორი

გელა ღვინიაშვილი

LTD OPTIMAL

Digitally signed by LTD OPTIMAL
Date: 2019.11.21 15:42:17 +04'00'

ს/კ 430024582

„საქართველოს ბანკი“

ბანკის კოდი BAGAGE22

ს/ა # GE34BG0000000321464600

მის: ქ. ზესტაფონი, აღმაშენებლის ქ.#71

ელ ფოსტა: optimal2010@mail.ru

ტელ:593616213

24-06-00

Non-entrepreneurial non-commercial legal entity Zestafoni Cleaning and Improvement Service Center

Подписано цифровой подписью: Non-entrepreneurial non-commercial legal entity Zestafoni Cleaning and Improvement Service Center
Дата: 2019.11.21 15:37:23 +04'00'